ჭეშმარიტად, დიდებულ და უზენაეს ალლაჰს არ სძინავს, და არ შეშვენის მას ძილი

აბუ მუსა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემს, რომ ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ჩვენ ხუთი სიტყვა გვითხრა: «ჭეშმარიტად, დიდებულ და უზენაეს ალლაჰს არ სძინავს, და არ შეშვენის მას ძილი. ის ამცირებს სასწორს და ამაღლებს მას. ღამის საქმე მასთან ამაღლდება დღის საქმეზე წინ, და დღის საქმე — ღამის საქმეზე წინ. მისი ფარდა არის სინათლე (ხოლო სხვა გადმოცემაში: ცეცხლი). და რომ მოეხსნა ეს ფარდა, მისი სახის ბრწყინვალება დაწვავდა ყველაფერს, სადამდეც მისი მზერა მისწვდებოდა მის ქმნილებათაგან».

[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა მუსლიმმა]

მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თავის თანმხლებებს ხუტბაზე მიმართა ხუთი სრულყოფილი წინადადებით, და ისინი იყო: პირველი: ჭეშმარიტად, დიდებული და უზენაესი ალლაჰი არ იძინებს. მეორე: ძილი მისთვის შეუძლებელია, რადგან მას აქვს სრულყოფილი ყოვლისმყოფელობა და მარადიული სიცოცხლე. მესამე: უზენაესი ალლაჰი ამცირებს და ამაღლებს სასწორს მისი მორჩილების იმ საქმეებით, რომლებიც მასთან ადის, და იმ საზრდოებით, რომლებიც მიწაზე ეშვება. საზრდო, რომელიც თითოეული ქმნილების წილი და ხვედრია, ის ყოვლადწმინდა, ამცირებს და შეზღუდავს, ან ამაღლებს და აფართოებს. მეოთხე: მასთან მაღლდება მსახურთა ღამით ჩადენილი ქმედებები შემდეგი დღის მოსვლამდე, და მათ მიერ დღისით ჩადენილი ქმედებები შემდეგი ღამის მოსვლამდე. მეხუთე: უზენაესის ფარდა, რომელიც მის დანახვას ხელს უშლის არის სინათლის ან ცეცხლისგან, რომ მოიხსნას საფარველი მისი სახის სიკაშკაშე დაწვავს ყველაფერს, რასაც მისი მზერა გასწვდება; მისი სახის სიკაშკაშე არის მისი სინათლე, სიდიადე და ბრწყინვალება. განსაზღვრება: რომ მოიშოროს და გახსნას ის, რაც მის დანახვას ხელს უშლის ანუ საფარველი, და გამოჩნდეს მის ქმნილებებთან მისი სახის ბრწყინვალება დაწვავს ყველაფერს, რასაც მისი ხედვა სწვდება; ყველა ქმნილებებს; რადგან უზენაესი ალლაჰის მხედველობა ყველაფერს მოიცავს მისი ქმნილებებიდან.

http://sunnah.global/hadeeth/ka/show/65114